



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1006
23/05/2018

ქალაქი ბათუმი

1006-05-4-201805231603



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ თხილნარში მდებარე 6162 კვ.მ, სოფელ მახოში მდებარე 3304 კვ.მ და სოფელ ჭარნალში მდებარე 10271 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სასაფლაო) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №32 განკარგულებისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 8 მაისის №1316-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ თხილნარში მდებარე 6162 კვ.მ (ს/კ 22.28.04.015), სოფელ მახოში მდებარე 3304 კვ.მ (ს/კ 22.28.08.008) და სოფელ ჭარნალში მდებარე 10271 კვ.მ (ს/კ 22.28.03.012) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სასაფლაო).

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას (გიორგი ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“-თან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ანა ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, positioned to the right of the printed text.